1936

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

1936

№12

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ოქტომბრელი“

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

№ 12
დეკემბერი
1936 წ.
წელიწადი მე-10

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34,
ტელ. №-3-02-61

შინაარსი

		გვ.
1.	**თაბუკაშვილი შალვა,** — დაუვიწყარი დღე (მოთხ.)	1
2.	**აბაშიძე ირაკლი,** — ანოს ანბანი (ლექსი)	4
3.	**სულავა ალექსანდრე,** — დიდი ბელადის თანამებრძოლი (წერილი)	5
4.	**მიქელაძე მარიკა,** — კიროვს (ლექსი)	8
5.	**კაჭახიძე გიორგი.** — არც მე დამივიწყებს (ლექსი)	9
6.	**ქუჩიშვილი გიორგი,** — ტყეში (მოთხ.)	9
7.	**ქორქია როდიონ,** — აფეთქება (მოთხ.)	11
8.	**დაფნარელი ნოე,** — პატეფონი (ლექსი)	16
9.	**საჩინოელი ალ.,** — რა ცხოველია (გამოცანა)	16
10.	ჟურნალ „ოქტომბრელის“ 1936 წლის შინაარსი	16

ჟურნალის მხატვრობა ეკუთვნის მხატ. ი. **ქოქიაშვილს.**

პ/მგ. რედაქტორი: **ბაბო ჯაჯიაშვილი** პ/მგ. მდივანი: **ლ. ჯიჯინაძე**

მთ. № ე-10385, ტირ. 13,600 შეკვ. № 4420 ს.კ.პ.(ბ) ც.კ. გამ. ამხ. ს. თოდრიას სახ. „კომუნისტის“ სტამბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუვიწყარი დღე

შალვა თაბუკაშვილი

ძალიან უყვარს ხატვა ოქტომბრელ თამაზს, ხან რას დახატავს და ხან რას. თუ სურათი კარგი გამოუვა, კედელზე დაკიდებს, მისჩერებია და უხარია. ამასწინათ მშვენივრად დახატა ტყე, აღელვებულ ზღვაში მიმავალი გემიც ლამაზი გამოუვიდა.

თამაზი ამ ბოლო ხანებში ხშირად უზის მაგიდას და რაღაცას ხატავს. თუ ფეხის ხმა მოესმა, სურათს უცებ რვეულს დააფარებს — არ უნდა სხვებმა დაინახონ. აი ახლაც ხატავდა და მოულოდნელად დაადგა და თავზე, მაგრამ სურათის დამალვა მაინც მოასწრო.

— ნეტავ რას ხატავს ეს ბიჭი? — ფიქრობს დაინტერესებული თამრიკო. — ბიჭო, მაჩვენე, რა დახატე, ჰა? — ემუდარება ძმას.

— არა, დაიკო, არა, ჯერ ვერ გაჩვენებ! დედა არ მომიკვდეს, ისეთ კაი რამეს ვხატავ, რომ არ ვიცი პირდაპირ! რომ დავხატავ, მაშინ გაჩვენებ.

— მაჩვენე, ბიჭო, რა იქნება, რა! დედა არ მომიკვდეს, არავის ვეტყვი! არც ახლა მაჩვენებ?!

დახედა თამრიკომ სურათს და უნებურად წამოიძახა:

— დედა, რა კარგია! მოდი, დედას ვაჩვენოთ?!

— არა, არა, ჯერ უნდა დავასრულო...

— დედა, დედა! — წამოიძახა თამრიკომ, მაგრამ თამაზმა ტუჩზე მიიფარა ხელი.

ამ დროს დედაც შემოვიდა.

— რა იყო, გოგო, რა გინდა?

თამრიკომ ძალით მოიშორა თამაზის ხელი და წამოიძახა:

— დედა, თამაზმა... — მაგრამ ცელქმა ოქტომბრელმა ისევ აუკრა პირი. მაშინ თამრიკომ თვალებითა და ხელით ანიშნა დედას მაგიდაზე.

იქ იდვა დიდი სტალინის პორტრეტი.

* * *

სძინავს პატარა თამაზს, სძინავს და საოცნებო სიზმარს ხედავს...

ის ვითომ მოსკოვშია. აი, კრემლში შეუშვეს. იქ ცხოვრობს მისი საყვარელი სტალინი.

საჩუქარი მიაქვს მისთვის, ქაღალდში აქვს გახვეული.

ავიდა კიბეებზე, ერთ ოთახთან გაჩერდა.

— შენ ვინ გინდა, ბიჭუნა? — ეკითხება ვიღაცა.

— ძია სტალინი მინდა ვნახო.

— ძია სტალინი? აი აქ ცხოვრობს.

გაუღეს კარი. შევიდა. გული უძგერს: აი ახლავე ნახავს იმას, ვიზედაც ხშირად, ძალიან ხშირად ფიქრობს, ვისი ნახვაც ენატრება.

— აი, იმ ოთახშია სტალინი, შედი.

აწითლებულმა შეაღო კარი.

— ოჰ, ბიჭუნას გაუმარჯოს, — ღიმილით თქვა სტალინმა, წამოდგა და თავზე ხელი დაუსვა.

თამაზმა უხმოდ გაუწოდა თავისი საჩუქარი. ძიამ გახსნა და კიდევ გაიღიმა.

— შენ დახატე? ყოჩაღ, ყოჩაღ! აბა მე რალა გაჩუქო? — ის ცოტახანს ჩაფიქრდა, მერე ზარი დარეკა. შემოვიდა ერთი კაცი, და მას რუსულად რაღაც უთხრა ძია სტალინმა.

კაცი გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ კოხტა პატარა ჩექმები შემოიტანა.

თამაზს თვალები გაუბრწყინდა: ის ხომ სულ ჩექმებზე ოცნებობდა.

— აჰა, აიღე. — უთხრა ძიამ.

თამაზმა დარცხვენით გაუწოდა ხელი...

— ადექი, შვილო, სკოლაში დაგაგვიანდება, — ჩაესმა დედის ხმა.

გამოეღვიძა თამაზს... მიხვდა, რომ ეს სიზმარი იყო...

კედლიდან იღიმებოდა თამაზის მიერ დახატული დიდი ბელადი.

* * *

თამაზს კითხვაც ძალიან უყვარს, მთელი საათობით უზის წიგნს. ამასწინათ სამ დღეში წაიკითხა „მარტოდმარტო კაციჭამიებს შორის". აი ახლაც კითხულობდა, დაიღალა და დახურა წიგნი. ამ დროს მამამ გამოიღო შკაფიდან რაღაც წიგნი და გატაცებით დაიწყო ჩუმად კითხვა. თამაზი დაინტერესდა.

— მამა, კარგი წიგნია? ხმამაღლა წაიკითხე, მეც გავიგონებ.

— არა, ბიჭო, შენთვის ჯერ ადრეა.

— რა წიგნია, მამა? შენი დაწერილია?

— არა, შვილო, ეს ძია სტალინმა დაწერა.

— ძია სტალინმა? აბა წაიკითხე, მამა! რა იქნება, ძალიან ძაინტერესებს!

მამამ გაიღიმა.

— ბიჭო, ეს მოთხრობა კი არ არის.

— აბა რა არის?

— ეს არის საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია.

სიტყვა „კონსტიტუცია" არ ესმის თამაზს, მას კი სურს გაიგოს რა დაწერა საყვარელმა ძია სტალინმა.

— ამიხსენი, მამა, რას ჰქვია კონსტიტუცია?

— კარგი, ზოგ რამეს მარტივად აგიხსნი, ყველაფერს კი ვერ გაიგებ. — და მამამ დაიწყო.

— კონსტიტუცია ნიშნავს ძირითად კანონებს. ყოველ ქვეყანას აქვს კანონები. სადაც მდიდრები, მშრომელების ჩაგვრელები ბატონობენ, იქ კანონებს მდიდრები ადგენენ. ისინი ისეთ კანონებს ცემენ, როძლებიც მხოლოდ მათთვის არის ხელსაყრელი.

ვთქვათ, რომელიმე კაპიტალისტის ქარხანაში მუშაობს პეტრე. იმუშავა ათი წელიწადი და დაავადმყოფდა. ხედავს ქარხნის პატრონი, რომ პეტრე დასუსტდა, ადგა და დაითხოვა. რა ქნას პეტრემ? სანამ ძალლონე ჰქონდა, შრომობდა, ახლა კი შიმშილით უნდა მოკვდეს, ან მათხოვრობა დაიწყოს.

— მამა, შიმშილით რა მოჰკლავს, პენსიას ხომ მისცემენ, — თქვა თამაზმა. — ბიძია ვასო რომ დაავადმყოფდა, ხომ მისცეს პენსია.

— ჩვენში ფაბრიკა-ქარხნები სახელმწიფოს ეკუთვნის, და არა კერძო პირებს. ჩვენში ასეთი კანონია, რომ დაავადმყოფებულებს და მოხუცებულებს პენსიას აძლევს სახელმწიფო, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში ასე არაა; აკი გითხარი, იქ კანონებს მდიდრები ადგენენ, და განა ისინი მშრომელების სასარგებლო კანონებს დაწერენ?!

აი ამ წიგნში წერია საბჭოთა კავშირის ძირითადი კანონები, ეს არის საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. ეს კანონები ძია სტალინის შემუშავებულია, ამიტომ ამ კონსტიტუციას სტალინური კონსტიტუცია ეწოდება. ძია სტალინი მთელი ქვეყნიერების მშრომელების ბელადია და, რასაკვირველია, ეს კანონები მშრომელებისათ-

ვის ძალიან კარგია. ჩვენში ყველა მშრომელს ახარებს ეს კონსტიტუცია, საზღვარგარეთ კი გულს ასკდებიან კაპიტალისტები. ისინი ხომ მშრომელების მტრები არიან.

— რა კანონებია, მამა, მე ვერ გავიგებ?

— ზოგიერთ რამეს მიხვდები და გეტყვი კიდეც, — უპასუხა მამამ.

— ეს კონსტიტუციაში წერია, რომ საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს აქვს შრომის უფლება, ესე იგი, უმუშევარი ჩვენში არავინ არ უნდა იყოს და არც არის, საზღვარგარეთ კი უთვალავი უმუშევარია, რომლებიც შიმშილით აჩრდილებივით დადიან.

ჩვენში ყველას აქვს განათლების უფლება. საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი სასწავლებელია, აუარებელ წიგნს ბეჭდავენ, ყველა სწავლობს, მთავრობა სტიპენდიასაც კი აძლევს მოწაფეებს.

— ჰო, თინა დეიდამ გუშინ აღლო სტიპენდია, — თქვა თამაზმა, როძელიც დაინტერესებული უგდებდა მამას ყურს.

მამამ განაგრძო:

— საზღვარგარეთ კი სწავლის ფულს ახდევინებენ მოწაფეებს, მშრომელებს არა აქვთ ამის შეძლება, და ძათი შვილები უსწავლელნი რჩებიან. აი, მეფის დროს მე თითონ ორჯერ გამომგდეს სასწავლებლიდან — სწავლის ფული უნდა შემოიტანოო, მამაჩემს კი ფული არ ჰქონდა, და დიდი წვალებით დავამთავრე სასწავლებელი.

აი კიდევ რანაირი კანონია ჩვენში, საბჭოთა კავშირში: როდესაც ავად გახდება ვინმე, მას უფასო მკურნალობა აქვს, ჯამაგირიც არ ეკარგება, მოხუცებულებს პენსია ეძლევათ. ასე ზრუნავენ ჩვენში მშრომელებზე, ასეთი კანონები წერია აი ამ წიგნში. ამიტომ მთელი საბჭოთა კავშირი ზე მობს, შეჰხარის დიდ ბელადს, ძვირფას სტალინს, ასეთი მშვენიერი კონსტიტუცია რომ მოგვცა. სტალინურ კონსტიტუციაში ისეთი კარგი კანონებია, რომლის მსგავსი არცერთ ქვეყანას არც ჰქონია და არცა აქვს.

25 ნოემბერს თითონ ამხანაგი სტალინი გააკეთებს მოხსენებას ამ კონსტიტუციის შესახებ, და ჩვენც შეგვძლია მოვუსმინოთ.

— ჩვენც? მოსკოვში წავალთ?! — და ჭყიტა თვალები თამაზმა.

— არა, რადიოთი მოვისმენთ. გინდა გაიგონო ძია სტალინის ხმა?

თამაზმა გაღიმა და სიხარულით დაუქნია თავი.

ამ საღამოს შეძდეგ თამაზი ყოველ დილით თითონ ახევდა კალენდარს ფურცელს და მოლოდინლად ელოდა იმ დღეს, როდესაც ძია სტალინის ხმას გაიგონებდა.

* * *

25 ნოემბერია. მთელი საბჭოთა კავშირი დიდ მზადებაშია: ყველას სურს საყვარელი ბელადის სიტყვის მოსმენა.

თავის დაწესებულებებსა და კლუბებში იკრიბებიან მუშები, კოლმეურნეები, წითელარმიელები და მოწაფეები...

ყველას უძაერს გული სანატრელი მომენტის მოლოდინში.

სრული ხუთი საათია. ახმაურდა რადიო, და სმენად გადაქცა სუყველა.

ლაპარაკობს ამხ. კალინინი...

როგორც კი ახსენებს ამხანაგ სტალინს, ტაში აყრუებს მთელ საბჭოთა კავშირს, თავს ევლება მთებს, მდინარეებს, თვალუწვდენ ველებს, მიქრის ყოველი კუთხით, მიდის უკხოეთშიაც, იქაური მშრომელებს გასახარებლად და ჩვენი მტრების გულსაკლავად...

აი, მოსკოვში ტრიბუნაზე ადის ბელადი, და მთელი დარბაზი ტაშით ინგრევა.

— ვაშა ამხანაგ სტალინს!

— გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

— დიდ გენიოს ამხანაგ სტალინს ვაშა!

— ამხანაგ სტალინს დიდება!

ისმის მქუხარე ხმები, და მოსკოვიდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ ქალაქებსა და სოფლებშიც ფეხზე დგება ხალხი, ისინიც მოსკოველ ამხანაგებთან ერთად ვაშაობენ ეგებებიან კაცობრიობის საუკეთესო შვილს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს — დიდ სტალინს.

— ამხანაგებო! — გაისმა სტალინის მშვიდი ხმა, და მიყუჩდა ყველაფერი.

ლაპარაკობს ბელადი...

პატარა თამაზიც რადიოსთანაა.

რა ქნას, რუსული ნაკლებად ესმის, მაგრამ იცის, რომ ამ სიტყვებს, რადიოში რომ გაისმის, მისი საყვარელი ძია სტალინი ამბობს შორეულ მოსკოვში, და სულგანაბული უგდებს ყურს...

ლაპარაკობს ბელადი... თავდავიწყებული ტაშით აწყვეტინებენ სიტყვას, და ეს ტაში გრიალებს თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირში, ამ ტაშს ტაშითვე ეხმაურებიან უცხოეთის მშრომელნი.

ლაპარაკობს ბელადი...

ამ სანატრელ დღეს არასოდეს, არასოდეს არ დავიწყებს თამაზი!

ირაკლი აბაშიძე

მგონი, დედას ანოსათვის
სულაც არა სცალია,
უთხრა:
— შენთვის ანაბანა
ადრეაო ძალიან!
რაღა დროს ადრე არის,
გოგო ხუთი წლის არი,
ნაწნავი აქვს,
ხტომაც იცის,
ყვირის, როგორც ციცარი.
მთელს ეზოში ვინ იყვირებს
ცელქი ანოს ხმის ოდენს?
ანოს უნდა ადრიანად
ანაბანაც იცოდეს.
მერმის იქნებ გვიან იყოს,
ანდა გახდეს ავადა...
დედას არ სურს?
შეისწავლის ანო თავისთავადა.
დაჯდა ანო მაგიდასთან,
ვითომ დიდად ჩვეული,
წალმა თუ უკუღმაა —
გადაშალა რვეული.
გაშალა და გულისყურით
ვითომ წერს და სასოებს:

„აი ვაშლი", „აი თაგვი" —
იყვანს ანო ასოებს.
დააცადეთ, სწავლობს ანო,
გოგოს ხელს ნუ შეუშლით...
მაგრამ...
რას ჰგავს „ასოები"
ანოს საწერ რვეულში?!
თითქოს დინჯად ესეირნოთ
შიგ იხვსა და ძროხასა, —
მიარგვალა, მოარგვალა,
მიხაზა და მოხაზა.
დინჯად ზის და თავს არ იღებს,
წერს და რვეულს დასცქერის.
ჰერი, ჰერი,
დაამთავრა.
— დედი, ნახე ნაწერი!
აქ დავწერე: ვაშლი, თაგვი,
ჩიტები და მხეცები,
აწი წერას მე გასწავლი,
თუ — კი შემეხვეწები.
დედამ უთხრა: — ყოჩაღ, ქალო,
ამფერ შენისთანასო,
რა კარგად წერ,
ჩემო გოგო,
ჩინურ ანაბანასო.
ჩინურიო?!
ანოს ტანში მოეკიდა ხანძარი;
— ანაბანა ხომ არის და
სულერთია, რაც არი.
თქვა და ქვემოთ გადასძახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზიკოს და ნანასა
და ღამემდის კითხულობდნენ
ჩინურ ანაბანასა.
დილით,
მამის თაროებზე
თითქოს ევლოს ძროხასა:
წიგნებს მისწვდა და ჩინურით
მიხაზა და მოხაზა.
წერდა, წერდა რიგრიგობით,
დაექანცა მარჯვენა,
დახვდა მამას და ნაშრომი
დიდის ამბით აჩვენა.
—რის ჩინური,
რა ჩინური!
რისი ანაბანაო!
როგორ! მე შენს დასაბღაჯნად
წიგნებს ვკრებდი განაო?
აქ ძვირფასი ბევრი მქონდა,
ზოგი არც აქაური! —
დაუძახა დედას შინ
და
ატყდა აურზაური.
რას გრძნობს ანო,
ამის ცოდნა
არ თუ არის ადვილი,
მხოლოდ მყისვე შეასწავლეს
ანაბანა ნამდვილი.

დიდი ბელადის თანამებრძოლი

ალექსანდრე სულავა

ვის არ გაუგონია საბჭოთა ხალხის უსაყვარლესი ადამიანის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამოჩენილი ხელმძღვანელის სერგო ორჯონიკიძის სახელი?

სერგო ორჯონიკიძე დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლია, მისი გამოჩენილი მოწაფე და ერთგული ამხანაგი. რევოლუციურ მოძრაობაში სერგო ჩაება ახალგაზრდობიდანვე, იმ დროიდან, როცა იგი საფერშლო სკოლის მოწაფე იყო. იგი თავიდანვე მტკიცედ დადგა ლენინ-სტალინის მხარეზე, ბოლშევიკთა მხარეზე, და ერთხელაც არ გაუგდია ხელიდან ბოლშევიკური დროშა.

რევოლუციური მოღვაწეობისათვის ამხანაგმა სერგომ მრავალი წელი გაატარა მეფის ციხეებში, კატორღაში, გადასახლებაში. დაიჭერდნენ ხოლმე მეფის ჟანდარმები ამხ. სერგოს და ასახლებდნენ შორეულ ქვეყანაში, მაგრამ დაუდგრომელ რევოლუციონერს რა გააჩერებდა გადასახლებაში — იგი მოდიოდა იქიდან და ისევ იწყებდა მუშაობას, ისევ რაზმავდა და ამზადებდა მუშებსა და გლეხებს პროლეტარული რევოლუციისათვის, ასრულებდა ლენინისა და სტალინის დავალებებს, აწყობდა პარტიის საქმეებს, მიემგზავრებოდა ერთი ქალაქიდან მეორეში, ერთი კუთხიდან მეორე ქვეყანაში.

პირველად ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე მეფის ჟანდარმებმა დაიჭირეს იმ დროს, როცა იგი შავი ზღვის ნაპირად გუდაუთში უცხოეთიდან გემით ჩამოტანილი იარაღის გადმოტვირთვას ხელმძღვანელობდა. მაშინ 19 წლისა იყო, მაგრამ უკვე საკმაო რევოლუციური გამოცდილება ჰქონდა. ბოლშევიკებს იარაღი ესაჭიროებოდათ იმისათვის, რომ შეეიარაღებინათ მუშები და გლეხები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მეორედ სერგო დააპატიმრეს ქ. ბაქოში (1907 წ.). ამ დროს ამ ქალაქში მუშაობდა ამხანაგი სტალინი. პირველმაისობაზე მოხდა მუშებსა და პოლიციელებს შორის შეტაკება. აქ დააპატიმრეს სერგო, მაგრამ მან დაფარა თავისი გვარი, კუჩხიშვილი დაირქვა. პოლიციამ იგი გაათავისუფლა, მაგრამ მალე, როგორც კი გამოარკვიეს მისი ნამდვილი ვინაობა, ხელმეორედ დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. სამი თვის შემდეგ სერგო გამოიქცა გადასახლებიდან და ისევ ბაქოში დაბრუნდა.

ბაქოდან სერგო ირანში გაემგზავრა რევოლუციური მუშაობის საწარმოებლად, იქიდან დაბრუნებისას კი გაემგზავრა საფრანგეთში ამხანაგ ლენინთან, სადაც ამ დროს ლენინის ხელმძღვანელობით მოეწყო პარტიული სკოლა. აქ სერგო დაუახლოვდა ლენინს და, როგორც ნადეჟდა კრუპსკაია წერს, „მას შემდეგ იგი გახდა ერთერთ უახლოეს ამხანაგად“. ლენინის დავალებით სერგო ჩამოვიდა რუსეთში განსაკუთრებული დავალებებით, რომელნიც მან ბრწყინვალედ შეასრულა. ამის შემდეგ ლენინის დავალებითვე მან მოამზადა ერთერთი უმნიშვნელოვანესი კონფერენცია, რომელსაც ჰქვია პრაღის კონფერენცია. კონფერენციის გადაწყვეტილებათა მუშებისათვის გაცნობის მიზნით სერგო ისევ ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან და უპირველეს ყოვლისა ჩავიდა იმ ადგილას, სადაც გადასახლებაში იმყოფებოდა ამხანაგი სტალინი და მასთან ერთად ჩამოვიდა ამიერკავკასიაში რევოლუციური მუშაობის გასატარებლად.

1912 წელს ამხ. სერგო ორჯონიკიძე პეტერბურგში გაემგზავრა, იქ სხვისი გვარით ცხოვრობდა, მაგრამ პოლიციამ დააპატიმრა, გამოარკვია მისი ვინაობა და სამი წლის კატორღა მიუსაჯა. შეუკრეს ხელ-ფეხი რკინის ბორკილებით და ჩასვეს ამხ. სერგო საკატორღო შლისელბურგის საპყრობილეში. ეს საპყრობილე ყველაზე საშინელი ციხე იყო მეფის რუსეთში, და ამხ. სერგო სამი წლის განმავლობაში რკინის ბორკილებით ამ ციხეში იჯდა. ამის შემდეგ გადაასახლეს ციმბირში, სადაც მან მხოლოდ რვა თვე დაჰყო, რადგან ამ დროს მოხდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. განთავისუფლდა თუ არა, იმ დროიდანვე გაემგზავრა პეტერბურგისაკენ, სადაც მას ლენინი და სტალინი ეგულებოდა, სადაც მას პროლეტარული რევოლუციისათვის კიდევ დიდი ბრძოლები უცდიდა.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე სერგო ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ჩაება ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლაში, აწყობდა მიტინგებს ქარხნებში, მოუწოდებდა მუშებს ძალაუფლების აღებისაკენ, ნიღაბს ხდიდა დროებით მთავრობას, და როცა საქმე იქამდის მივიდა, რომ ბურჟუაზიამ განიზრახა ლენინის მოკვლა და მას ათასგვარი საზიზღარი ცილი დასწამა, სერგო ორჯონი-

კიძე ამხანაგ სტალინის მითითებით დაეხმარა ლენინს დასაფარავად.

თავის მოგონებაში ამის გამო აი რას წერს ამხ. სერგო: „ილიჩი ქალაქიდან უნდა გავიდეს. სტალინმა თავის თავზე მიიღო ლენინის გამგზავრების მოწყობა. მე წინადადება მომცა გადამეპარსა თმა და გავყოლოდი ილიჩს“. ლენინი მართლაც გადამალეს ქალაქგარეთ ერთ მყუდრო კარავში. მისი იქ ყოფნა მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა. ამხ. სერგო საიდუმლოდ მიდიოდა ლენინთან და ატყობინებდა მდგომარეობას. ეს იყო უაღრესად ცოცხალი მუშაობა ოქტომბრის რევოლუციის მზადების წინ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა სამოქალაქო ომი გაჩაღდა, როცა პროლეტარულ რევოლუციას შემოუტიეს კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, გენერლებმა, თეთრგვარდიელებმა, ამხანაგი სერგო სამოქალაქო ომის ფრონტზე გაჩნდა. პირველად იგი გაიგზავნა პულკოვის ფრონტზე კერენსკის წინააღმდეგ, რომელმაც ყაზახთა ჯარით შემოუტია წითელ პეტროგრადს. შემდეგ დაინიშნა უკრაინის რაიონის საგანგებო კომისრად და შემდეგ უშუალოდ ხელმძღვანელობდა რამდენიმე წლის განმავლობაში თეთრგვარდიელთა არმიების განადგურებას უკრაინაში, ჩრდილო-კავკასიაში, ამიერკავკასიაში, საქართველოში.

ამ ბრძოლაში ამხ. სერგოს ბევრი საგმირო საქმე ჩაუდენია. ცნობილია მისი ხელმძღვანელობით ბრძოლები როსტოვის, კავკასიის, ცარიცინის დაცვის საქმეში. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის მას კავკასიის დაცვაში — მთიულეთში საბჭოთა წყობილების გამაგრება-გამტკიცებაში.

სამოქალაქო ომში ამხ. სერგო ორჯონიკიძე თვალსაჩინო ხელმძღვანელად ითვლებოდა. ის სხვადასხვა დროს იყო სხვადასხვა არმიის რევოლუციური საბჭოს წევრი. საერთო სამხედრო ხელმძღვანელობაში დიდი უნარისა და ნიჭის გარდა, ის პირადი გამბედაობისა და გმირობის მაგალითებსაც იძლეოდა. ცნობილია, მაგალითად, რომ როცა წითლები ტოვებდნენ როსტოვს, ამხ. სერგოს ჰქონდა რამდენიმე ათასი ოქრო. ეს იცოდნენ წითლებში შემოპარულმა საეჭვო პირებმა; ქალაქის დაცლის დროს ასეთი საეჭვო პირების ერთერთმა ხელმძღვანელმა, თავიდან ფეხებამდის ბომბებით შეიარაღებულმა, მოსთხოვა სერგოს ოქრო. ბანდიტს თან ახლდნენ თავისი ამქრები, მაგრამ სერგო არ დაიბნა და პატარა რევოლვერის სწრაფად მომარჯვებით და მრისხანე შეძახილით: „დაჰყარე იარაღი!“ ბანდიტი განაიარაღა.

ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი: ამხ. სერგოს აცნობეს, რომ ოსეთის რომელღაც კუთხეში ვინმე პოლკოვნიკმა ცალიკოვმა მოაწყო საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყება. სერგო სწრაფად გაემგზავრა აღნიშნულ ადგილას, სოფლის თავში დატოვა თავისი შეიარაღებული ნაწილი და პირადად მიადგა კარზე პოლკოვნიკს, უთხრა თავისი ვინაობა და დაუწყო ლანძღვა, თუ როგორ გაბედა მან ასეთი რამ.

— შენ ხალხის გამყიდველი ხარ! — შესძახა სერგომ მას. შენ იწვევ დენიკინს, რომელიც გასრესს ოსეთის ხალხს ისე, როგორც მეფის დროს! იცოდე, ხალხი არ გაპატიებს ამას! — ცალიკოვი საშინლად გაკვირვებული დარჩა ამ კაცის ასეთი გაბედულობით და გმირობით, ხალხში კი უფრო გაითქვა სერგოს სახელი.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი გმირობა ჩაუდენია ამხ. სერგოს სამოქალაქო ომის დროს! რად ღირს თუნდაც ის გმირობა, რომელიც ამხ. სერგომ ჩაიდინა, როცა მენშევიკების ბატონობის დროს ჩამოვიდა ტფილისში, აქედან ბაქოში წავიდა და ბაქოდან, მეტად საშიშ პირობებში, ნავით გაემგზავრა ასტრახანში, სადაც პირველად გაეცნო ამხ. ს. კიროვს. ასტრახანიდან ამხ. სერგო მოსკოვში ჩავიდა და პარტიის დავალებით მონაწილეობას იღებდა დენიკინის განადგურებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება უშუალოდ დაკავშირებულია სერგო ორჯონიკიძის რევოლუციურ მოღვაწეობასთან. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, სერგო ორჯონიკიძემ და სერგეი კიროვმა უზრუნველყვეს საქართველოს მუშებისა და გლეხების გამარჯვება მენშევიკებზე. ამ გამარჯვებამ მოუტანა საქართველოს ბედნიერება, გადაარჩინა იგი განადგურებას, რასაც უმზადებდა მას მენშევიკური ბატონობა. მათი მონაწილეობით დაარსდა ამიერკავკასიის ფედერაცია, ხალხთა დიდი ძმობა. სერგო ორჯონიკიძემ დაარწია პირველად ჩვენში სოციალისტური მშენებლობის აკვანი.

ამჟამად ამხ. სერგო ორჯონიკიძე საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარია, დაუღალავი მებრძოლი მძიმე მრეწველობისათვის, დიდი ქარხნებისათვის, ტრაქტორებისათვის, თვითმფრინავებისათვის. ამხ. სერგო პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია.

ძია სერგო დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, დიდი ბელადის ღირსეული თანამებრძოლი, მთელი საბჭოთა ხალხის საყვარელი ადამიანი, ხალხისადმი სიყვარულში უსაზღვრო და მისი მტრებისადმი ულმობელი.

ამხ. სერგოს განუსაზღვრელად უყვარს ბავშვები. მას თვითონ ჰყავს ათი წლის ქალი — ეთერი, რომელსაც არ აკლებს მზრუნველობას, მიუხედავად დიდი სახელმწიფოებრივი დატვირთვისა. ძია სერგოს იცნობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები.

ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ სერგოს, დიდი სტალინის დიდ მეგობარს და თანამებრძოლს, ხანგრძლივი და ხანგრძლივი სიცოცხლე!

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

შარშან იყო, რომ გაზეთი
გავშალე და დავინახე
შავარშიამოვლებული
საყვარელი შენი სახე...

მომაგონდა სულ სხვა დილა,
როცა ასე ქროდა ქარი...
გაფიჩხული, ხელგაწვდილი
მე ვეკროდი უცხო კარებს.

შენ გამოხველ, დაგედევნე:
— გაიმეტე, ძია, ფული!
შენ მომკიდე ხელში ხელი
და მითხარი სიბრალულით:

— ჩემო კარგო, აქ რა გინდა,
არ ბოგბეზრდა ყოფნა ასე?
წამო ჩემთან, დაძენდევი,
დაგაყენებ მართალ გზაზე.

გავჯიუტდი, მაგრამ მაინც
შენ ჩამჭიდე ხელში ხელი,
წამიყვანე ერთ დიდ სახლში
ეს ურჩი და საძაგელი,

გამურული, დაკონკილი,
მაწანწალა, მომთაბარე,
თმაჭაღარა მასწავლებელს
სიყვარულით ჩამაბარე.

შემაყვარეს სწავლა, შრომა,
გავიფურჩქნე როგორც ვარდი,
შემიყვარდა ჩემი მხარე
და შენ უფრო შემიყვარდი.

მაგრამ შემდეგ ვერსად შეგხვდი,
მხოლოდ ახლა დავინახე
შავარშიამოვლებული
საყვარელი შენი სახე...

მართალ გზაზე ვდგავარ ახლა,
წინათ ურჩი, კარდაკარა....
კიროვ, კიროვ! სიტყვას გაძლევ,
რომ ამ გზაზე ვივლი მარად!

ეროვნული ბიბლიოთეკა



არც მე დამივიწყებს

გიორგი კაჭახიძე

აივანზე ვსაუბრობდით,
მგონი, ახლოს ბებიც იჯდა,
როცა უცებ ჩვენს ეზოში
უცხო ძაღლი შემოიჭრა.
ჯერ კარებთან დაბარბაცდა,
შემდეგ ფიცრებს წაჰკრა თავი,
ცალი ფეხი მოეკაკვა
და კიოდა საცოდავი.
ნაგვის ყუთთან გაიშხლართა,
ცას მოავლო თვალი ზიზღით,
კანკალებდა და თათიდან
მოსდიოდა ბლომად სისხლი.
მიველ ახლოს, დავაცქერდი,
გავუსინჯე ფეხი დინჯად:
ქვაფენილზე მძიმე ავტოს
მისთვის თათი დაეგლიჯა.
დაჭექოდა საწყალს თეძოც,
ტკივილები ლამის კლავდა,
წკმუტუნებდა და ჭრილობას
წარამარა ილოკავდა.
დამაღონა და მის ბედზე
ფიქრი დიდხანს შევაჩერე...
ვინც უმზერდა, თითქმის ყველამ
შეიბრალა ძაღლი ჩემებრ.
მოვეფერე, დავფაცურდი,
შევუხვიე თათი რბილად,
ღამდებოდა და კიბისქვეშ
მივუჩინე მყუდრო ბინა.
მაინც წუხდა... და მეგონა
ვერ ვნახავდი დილით ცოცხალს,
მაგრამ ჩვრებში დილის შუქზე
გაუბრწყინდა თვალი მორცხვად.
ახლა ჯანი და სიმშვიდე
მისცემოდა თითქოს ცოტა,
მაგრამ ფეხზე რომ ვერ დადგა,
იგი ისევ შემეცოდა.
დღეს კი ყველას დასანახად
კიბის ახლოს გავლა შეძლო,
დაიღრინა, დაიყეფა
და მოსინჯა თვალით ეზო.
ჩანს, გადარჩა, უბრუნდება
გულადობა და სიფხიზლე.
ალბათ, წავა პატრონთანაც,
მაგრამ არც მე დამივიწყებს.

ტყეში

გიორგი ქუჩიშვილი

—რა მშვენიერი ხარ, გარიჟრაჟო, რა მშვენიერი! —მხიარული ჟრიამულით შესტრფიალებდნენ ექსკურსანტი ბავშვები ცის თენებას და თვალები ცვარმარგალიტივით უციმციმებდათ.

—ეჰ, ნეტავი თქვენ, რომ ეგრე აღტაცებული ეგებებით ბუნების გამოღვიძებას! ჩვენ კი...

—კაკ, კუკ! კაკ, კუკ! —საიდანღაც მოისმა ნაჯახის მკვეთრი ხმა, და შიშისაგან ტანაცახცახებულმა ტყემ სული განაბა.

—რას სჩადიხარ, რას! —ნაზი კვნესით უსაყვედურა იქვე მახლობლად ობლად ამოსულმა ენძელამ და აკანკალდა.

—ნუ მოსჭრი, გენაცვალე, ნუ მოსჭრი! —სასოებიანი ალერსით მიმართა კოპწია იამაც, მაგრამ არამც თუ ვერ შეისმინა ყვავილთა მუდარა, ვერც კი შეამჩნია, ისე ტლანქად მოსრისა ტალახიანი ფეხებით.

—აახ! აახ! —ვაგლახებდა ცულის ყოველ დარტყმაზე დაჭრილი ხე და ცრემლებით ასველებდა ნაფოტებს.

— შრრ! — აშრიალდნენ სათუთი ფოთლებიც. — რას გვერჩი, ადამიანო, რას? რად გვიკლავ დედას, რად გვისპობ სიცოცხლეს? ნუთუ არ გესმის ყვავილთა თხოვნა, ბალახების ყელაწეული ხვეწნა, წყაროს ლიკლიკი, ნუთუ ვერ ხედავ შველებისა და ჯიხვ-ირმების დაძფრთხალ ძილს? შენი ცოლშვილი და შთამომავლობა მაინც რატომ არ გაფიქრებს? ჩვენ ხომ შენი სიკეთე ვართ, შვენება და სიმდიდრე. სახლკარს ხომ ჩვენი მასალით იშენებ, მთელ ზამთარს ხომ ჩვენი შეშით ატარებთ თბილად, ჰაერსაც ხომ ჩვენ გიჯანსაღებთ, სიცოცხლეს გიხანგრძლივებთ! ახლა ხილეულობა აიღე: ზღმარტლი, შვინდი, თხილი, წაბლი, ტყემალი, პანტა, მაჟალო, წითელი კუნელი, მარწყვი, ნაირნაირი სოკო და ვინ მოთვლის კიდევ, მაგრამ . . .

— ჭრახ! — უკანასკნელი კვნესა-ხვნეშით გადაეშვა უზარმაზარი მოჭრილი ხე და მკლავებდასხეპილ მეომარივით ზღართანით დაეცა ძირს.

— ეს ერთი! — კმაყოფილებით წაიდუდუნა იღლიაში ნაჯახგაყრილმა სოფლელმა, უბიდან ქისა — ყალიონი ამოიღო და გულდაარხეინებით ახლა სხვა ხეებს დაუწყო თვალიერება მოსაჭრელად.

— ვაიმე, ვაიმე, ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ვერც მე გადავურჩები. — გულისტკენით წარმოთქვა წაქცეული ხის მეზობელმა და ისე შეირხა, თითქოს სიკვდილის ჟრუანტელმა დაუარაო.

— მაგის მეოხებით მეც თანდათან მიმოკლდება სიცოცხლე, — აწანწკარდა ანკარა წყარო, — რაც ტყეს გაჩანაგება დაუწყეს, ისე დავილიე, ლამის მთლად ჩამიწყდეს კისკისა ხმა.

— უი, ქა, უწინამც თვალები დაგვდგომია . . . შენ რომ დაგვიშრე, ჩვენც ხომ გადავხმებით ძირბუდიანად! — ამეტყველდნენ წყაროს ნაპირებზე მოღაღანე ყვავილები და თვალები მოუცრემლიანდათ.

— ჩვენ რაღა გვეშველება, განა ჩვენ კი არ ამოვწყდებით გვალვისაგან? — დაიჩივლეს ტყის ცხოველებმა.

— ჩვენც, ჩვენც! — აფრთხიალდნენ ფრთოსნები.

— მწყემსები მოდიან, მწყემსები! — ელდასავით ახალა ტყეს კურდღელმა და მოკურცხლა.

— ეგენიღა გვაკლდნენ . . . მაგათმა ნახირმა ილაჯი გაგვიწყვიტა, ტანი ველარ აგვიყრია საქონლის კორტნისაგან! — გაჯავრებით წაიბუტბუტეს მოზარდმა ხეებმა და გაჩუმდნენ.

— არც მე მადგია უკეთესი დღე: ვინ გინდათ რომ ჩემს ტოტებს არ ეტანებოდეს: ზოგი ჩიბუხის ტარად მსხეპავს, ზოგიც შამფურებად მთლის და აქვე აშიშხინებს მწვადებს! — საყვედურობდა შვინდი.

— ცეცხლი! ცეცხლი! მწვადების ხსენებაზე გაახსენდა შეტრუსულ რცხილას ამასწინათ მონადირეებისაგან გაჩენილი ხანძარი, და მთელი ტყე აწრიალდა შიშისაგან.

ან კი როგორ არ შეეშინდება, როდესაც ზოგიერთების დაუდევრობით ხშირად გადაბუგულია ტყის ესა თუ ის უბანი.

— ოჰო — ჰო — ჰო, რა ტკივილებსა ვგრძნობ, რომ იცოდეთ, რა ტკივილებს! — აშრიალდა დანით დასახიჩრებული წიფელი.

— ეგ რა მოგსვლია, შენი კვნესა მე, ვინ იყო, ვინ დაგჭრა? — გულმტკივნეულად შეეკითხა შარაგზის პირას ტანდასერილ წიფელს მეზობელი წაბლი.

— ამ დილით ვიღაც მომადგა და ჩემ ტანზე თავისი სახელი და გვარი ამომჭრა მომსხო ასოებით! — ჩიოდა დასახიჩრებული წიფელი და ჭრილობიდან ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

— ვინ იქნებოდა, ალბად ბიჭები იყვნენ, — უცებ წამოიძახა თხილმა.

— აბა ვაჟა-ფშაველა ხომ არ იქნებოდა, თავისი სახელითა და გვარით რომ გაეგბედნიერებინე! დაცინვით მიუგო ზღმარტლმა.

— აბა, ეგ რა სათქმელია, გეთაყვანეთ, ვაჟა — ფშაველა როგორ გამიმეტებდა, ის ხომ ჩვენი მესაიდუმლე მგოსანია, — გულდაწყვეტილად უსაყვედურა წიფელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალია, მართალი! — დაუდასტურა ყველამ. — არამც თუ ჩვენი ფოთლების შრიალი, ყვავილების ენაც კი ესმის მინდია-ვაჟას, ისეთი ყურმახვილი და გულგრძნობიერია.

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო, მე შეგიხვევ ჭრილობას! ანუგეშა სურომ.

ვინ იცის, კიდევ რას დაიჩივლებდა ხეთა ყრილობა, რომ იგი არ შეეწყვიტა ექსკურსანტი ბავშვების საამურ გუგუნს:

— ხალხო! ნუთუ გულს არ გწვდება
მშობელ ტყის კვითინი?
მოვუაროთ, შევინახოთ,
როგორც თვალის ჩინი!

ტყე გვაშენებს, ტყე გვაცხოვრებს,
გვისუფთავებს ჰაერს
და ათასი კურორტებით
კურნავს სხვადასხვა ერს!
ტყეს თუ მტრულად ეპყრობოდნენ
უწინ მეპატონე,
დღეს თვით შენ ხარ ამ სიმდიდრის
სრული მეპატრონე.
ნუ მოაკლებ მზრუნველობას
ამ საუნჯის კარავს,
თორემ მისი გადაკაფვა
თვით შენვე შეგზარავს!
ნუ მომსპობო, – გეხვეწება
ის – უენო, მეტყველს,
კუბოსაც ვერ გაითლიო,
თუ არ გექნა ხე-ტყე!

ამ სიმღერას გატაცებით ისმენდა როგორც ტყეთა სამეფო, ისე ის სოფელელი კაცი, რომელსაც მორიგი ხის მოსაჭრელად აღმართული ნაჯახი ჰაერში შეეჩერებინა . . ,

სტეპკა

როდიონ ქორქია

სტეპკოს მთელი სოფელი იცნობდა.

— ვინაა, ცხენს რომ მიაჭენებს?

— სტეპკო.

— ვინაა, შაშვივით რომ უსტვენს და გარმონს უკრავს?

— სტეპკო.

— ვინაა, შუაღამით რომ ადგება, ტყეს გაივლის და შორს მდინარეზე მიდის სათევზაოდ?

— სტეპკო.

ყოჩაღი ბიჭი იყო სტეპკო, მხიარული და მომღერალი. მაგრამ მამა რომ ომში მოუკლეს და დედა ტიფისაგან გარდაეცვალა, სტეპკო დაღონდა.

ვიღაცამ ურჩია:

— შენ ხომ კარგად უკრავ? აიღე მამაშენის გარმონი, იარე სოფელ-სოფელ, დაუკარი და იცხოვრე.

აიღო საწყალმა სტეპკომ მამის გარმონი, გამოეთხოვა თავის წაქცეულ ქოხს და სასაფლაოსკენ წავიდა. მივიდა დედის საფლავზე და ტირილი დაიწყო. ბევრი იტირა სტეპკომ. შემდეგ, როდესაც ცრემლებისაგან თვალები დაუსივდა, მოაგონდა — დედამისს უყვარდა ერთი სევდიანი სიმღერა. ხშირად დედა მეზობლისას წაიყვანდა სტეპკოს, იქ გარმონი ჰქონდათ. აიღებდა იმ გარმონს სტეპკოს დედა და დაუკრავდა. გაახსენდა ეს ახლა სტეპკოს, აიღო გარმონი, მიეყრდნო დედის საფლავზე დაყრილ მიწას და დაუკრა. უკრავდა სტეპკო და უყურებდა სამარეს, თითქოს უნდოდა დედამისს მისი დაკვრა გაეგონა.

შემდეგ სტეპკო მოშორდა სოფელს, დაიწყო ხეტიალი კარდაკარ. ზოგი ფულს აჩუქებდა, ზოგი პურსაც, ზოგი კი დააკვრევინებდა და არაფერს მისცემდა. შეგროვილი ფულით სტეპკომ თუთიყუში იყიდა.

იმ დროს უკრაინაში სამოქალაქო ომი იყო. თეთრები და წითლები ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდნენ და არც თუ ისე არხეინად შეიძლებოდა სიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ სტეპკო ერთ დიდ სადგურთან მი-
ოდა. სადგურთან პატარა ბაღი იყო. იმ ბაღში
ევრი მოსეირნე იყო: ქალები, ჯარისკაცები,
ოფიცრები. სტეპკო გაჩერდა შუა ადგილას და
ეაიწყო დაკვრა. შეჯგუფდნენ მის გარშემო.
ოცა სტეპკომ დაკვრა გაათავა, თუთიყუშს
კითხა:

— ფული გინდა?

— ფული გინდა? — გაიმეორა თუთიყუშმა.

— პოპკა დურაკ? — ჰკითხა სტეპკომ.

— პოპკა დურაკ! — უპასუხა თუთიყუშმა.
ყველას გაეცინა.

სტეპკომ აიღო ქუდი და ჩამოუარა წრეს.

უცებ წრე გაირღვა და შემოიჭრა მთვრალ
ოფიცერთა ჯგუფი.

— დაიშალეხით! — დაიყვირა ერთმა მათგანმა
და რევოლვერი იძრო.

ხალხი ბაღის მოაჯირს მიაწყდა. ოფიცერმა
ოევოლვერი დაუმიზნა თუთიყუშს.

— არ მოჰკლათ! — შეჰყვირა სტეპკომ.

მაგრამ იგრიალა რევოლვერმა, და გალია
ისხლმა შეღება.

— საძაგელო! — იკივლა სტეპკომ და მივარ-
და ოფიცერს.

სტეპკოს ჰკრეს ფეხი და შორს გადაისრო-
ლეს. არავინ გამოექომაგა მას.

როდესაც გონს მოვიდა, სტეპკო ადგა, თა-
ვისი გარმონი ზურგზე მოიკიდა და გასისხლია-
ნებული გალიით ახლობელ სოფლისაკენ გაუდ-
გა გზას.

მიდის სტეპკო და ფიქრობს:

— ვის რა დავუშავე? რა უნდოდა ჩემ თუ-
თიყუშთან? რატომ არ შემიბრალეს ობოლი
ბავშვი? ვისაც დედ-მამა არა ჰყავს, ყველას უნ-
და ებრალებოდეს, მე კი არავის ვებრალები.
რა ვქნა?

ასე ფიქრობდა პატარა სტეპკო და ცხარე
ცრემლებით ტიროდა.

მიდის სტეპკო და ტირის. გზაზე გლეხი შე-
მოეყარა. გლეხმა გამოჰკითხა ყველაფერი, სტეპ-
კომაც უამბო. შეეცოდა გლეხს და უთხრა:

— წამო ჩემსა, ღამე გაათიე.

და მერე დაუმატა:

— შვილო! შენ თუთიყუში მოგიკლეს, ჩვენ
კი ბატონებმა შვილები დაგვიხოცეს, მიწები
წაგვართვეს. გვცემენ, გვაწამებენ. რაღაა ჩვენი
ცხოვრება! ეხ!

გლეხმა ისე ამოიოხრა, რომ სტეპკოს შეე-
შინდა, გულლვიძლი არ ამოატანოს ამ ამო-
ოხვრასო.

— რატომ, ძია, რა დააშავეთ ისეთი? — შეე-
კითხა სტეპკო.

— არაფერი, შვილო! ჩვენ რა დავაშავეთ? ჩვენ გლეხები ვართ, მიწა გვინდა. ჩვენი შრომით გვინდა ვიცხოვროთ. იმათ კი უნდათ ჩვენი შრომით იცხოვრონ და მიწები წაგვართვან, თვითონ კი ისეირნონ, იქეიფონ. ამიტომ ვებრძვით ერთმანეთს. ახლა იმათ გვაჯობეს და გვაწიოკებენ. აი, ნახავ, ხვალ სოფელში რა ამბავი იქნება.

მართლაც, მეორე დღეს სტეპკომ საოცარი ამბავი ნახა.

მეორე დღეს მთელი სოფლის გლეხობა შეიკრიბა ეკლესიის გალავანში. იქ მივიდნენ ოფიცრები და უთხრეს:

— ბოლშევიკები და თოფები მოგვეცით!

ხალხმა არ მისცა, ხალხს მათრახებით სცემეს, რამდენიმეს კი ტანთ გახადეს, მიწაზე დააწვინეს და სცემეს. კანი დასკდა და სისხლი წამოვიდა. ქალები ტიროდნენ, ოფიცრები კი იცინოდნენ.

ეს ნახა სტეპკომ. ნახა და ისე შეძულდა ისინი, ვინც ხალხს სცემდა, რომ სიბრაზისაგან ცრემლები წამოუვიდა.

იმ ღამით სტეპკოს მასპინძლისას რაღაცა ფაციფუცი იყო. სტეპკომ თავი მოიმძინარა, ხვრინვა ამოუშვა და ყური დაუგდო.

— ამხანაგებო, — ამბობდა სტეპკოს მასპინძელი, — ჩვენები ხვალ დაეცემიან სადგურს, საჭიროა ხიდის აფეთქება, რომ მტერმა ვერ შეძლოს უკან დახევა. მტერს უნდა წავართვათ საწყობები, თოფები და მატარებლები. ესენი აუარებელია სადგურზე; თუ ხიდი ავაფეთქეთ, მთელი ეს ქონება ხელთ ჩაგვივარდება და სოფელსაც შევაიარაღებთ. როგორ მოვიქცეთ? ისინი ხიდს სასტიკად იცავენ, ხიდზე არავის უშვებენ.

რა ვქნათ?

სიჩუმე ჩამოვარდა. სტეპკოს ესმოდა, როგორ სუნთქავდნენ ისინი, ვინც მოვიდა მის მასპინძელთან. მოეჩვენა სტეპკოს, თითქოს კედლებმაც კი დაიწყეს სუნთქვა, თითქოს კედლებმაც კი გაიმეორეს:

— რა ვქნათ?

და გაახსენდა ბავშვს, თუ როგორ მოუკლეს საყვარელი თუთიყუში, როგორ ჰკრეს წიხლი სტეპკოს და ბურთივით გაისროლეს შორს, როგორ სცემეს ბატონებმა იმ დღეს გლეხებს, როგორ ტიროდნენ ქალები და ბავშვები და იცინოდნენ ისინი, ბატონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეპკომ დაახველა და წამოდგა.

— შენ არ გეძინა? — შეეკითხა მასპინძელი შიშით.

— ძია, მე წავალ და ავაფეთქებ ხიდს.

— შენ?

— ჰო, ოღონდ მასწავლეთ, როგორ უნდა მოვიქცე.

— ბავშვო, ვინა ხარ შენ? — შეეკითხა ერთი სტუმარი სტეპკოს.

— მე არა მყავს არც დედა, არც მამა. მე მყავდა მხოლოდ ჩემი კარგი თუთიყუში. იმათ კი, ოფიცრებმა, ის მომიკლეს. მე ავაფეთქებ ხიდს, ოღონდ მასწავლეთ, როგორ ვქნა ეს?

ასწავლეს, და სისხამ დილას სტეპკო გაუდგა გზას.

სტეპკო მივიდა სადგურზე. სადგურზე არაჩვეულებრივი ფუსფუსი იყო. ეტყობოდა, რაღაცას ელოდნენ. სტეპკომ ნახა აუარებელი ოფიცერი, ჯარისკაცები, ვაგონები. ის დადგა ბაქანზე და გარმონი დაუკრა.

— რა დროს გარმონია! — შეუბღვირა მას ვილაცამ.

— გაეთრიე აქედან.

სტეპკომ მოკურცხლა. დაადგა ლიანდაგს და ხიდისაკენ წავიდა.

მიდის სტეპკო და გულს ბაგაბუგი გააქვს. იცის სტეპკომ, რომ თუ ხიდი ვერ ააფეთქა, სულ გადაწვავენ იმ სოფელს, გაატიტვლებენ ქალებსა და კაცებს და სცემენ, საშინლად სცემენ. მიდის სტეპკო და ხედავს თავის თუთიყუშს. თითქოს ეუბნება თუთიყუში:

— ააფეთქე, სტეპკო, ააფეთქე!

მიდის სტეპკო და გრძნობს: სტკივა ის ადგილი, სადაც წიხლი ჰკრეს, ძალიან სტკივა, ძალიან.

აი, მივიდა სტეპკო ხიდთან. თოფიანმა ყარაულმა დაუძახა:

— არ შეიძლება ხიდზე გავლა.

სტეპკომ ჩაუხვია მდინარისკენ, მობრუნდა და ხედავს — უყურებს ყარაული.

სტეპკომ ტანთ გაიხადა, წყალში შევიდა, ცივი იყო წყალი.

— სულელი. ასე დილაადრიან რა აბანავებს? მოესმა ყარაულის ხმა. შემდეგ ყარაულმა პირი იბრუნა.

სტეპკო ამოვიდა ნაპირზე, მიარბენია გალია ხიდის ქვეშ, შევიდა იქ, სადაც ხიდი უერთდებოდა მიწას, გაუკეთა ზონარი და ისევ დაბლა ჩავიდა. ზონარის რგოლს კი ფეხით მიათრევს. ცოტა მანძილზე მოშორდა ხიდს, იმ ადგილამდის მივიდა, სადაც მდინარე უხვევდა. სტეპკო ამოეფარა ნაპირს. ჰო, ყველაფერი კარგადაა, ახლა უნდა მოუკიდოს ზონარს. მაგრამ, ვაი, ასანთი დავიწყებია! რა ქნას?

სტეპკო ისევ წამოვიდა ხიდისაკენ და წყალში შევიდა. ისევ დაიწყო ჭყუმპალობა.

— გაეთრიე აქედან! დაუყვირა მას ყარაულმა.

— ახლავე! — უპასუხა სტეპკომ, ტანთ ჩაიცვა, აიღო თავისი გარმონი და ჩაჰყვა მდინარეს. მიხვეულ ნაპირთან რომ მივიდა, ჯიბიდან ქაღალდის ნახევი ამოიღო, ვითომდა პაპიროსი გააკეთა. შემდეგ ამოიღო ასანთი და მოუკიდა. მოიხედა, ყარაული ვერ ხედავდა. უცებ დასწვდა მიწას და მოუკიდა ზონარს. ცეცხლი მოეკიდა ზონარს და სწრაფად აჰყვა ზევით, ხიდისკენ, თითქოს ეშინოდა არ დავგვიანდებოდა.

უცებ საშინელი ხმაურობა მოისმა, თითქოს მეხი გავარდაო, ან ვეებერთელა მთა ჩამოინგრაო.

აფეთქდა ხიდი.

დაინახა სტეპკომ ცეცხლი მოედო მინდორს, მდინარეს, ხიდს. შემდეგ ყველაფერი ეს წავიდა ზევით, ცისაკენ, და იქიდან დაეშვა დაბლა. და მაშინ, როდესაც ეს ცეცხლი დაბლა დაეშვა, სტეპკომ იგრძნო, თითქოს ვიღაცამ ჰკრა ხელი და შორს გადაისროლა.

— დედა! — შეჰკივლა სტეპკომ და თვალები დახუჭა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სტეპკოს მოესმა:

— აქ უნდა იყოს, აქ, აი გარმონის ნამსხვრევები.

მართლაც, სტეპკო ჩამონგრეულ მიწაში მოყოლოდა. გადაყარეს მიწა, ამოიყვანეს. ხელი დაზიანებოდა. ხიდიდან წამოსროლილ რკინის ნატეხს მოეგლიჯა ორი თითი.

— გაუმარჯოს პატარა გმირს! — ესმის სტეპკოს.

და ხედავს სტეპკო: სულ დამსხვრეულა მისი გარმონი, აფეთქებულ ხიდზე წითელი დროშები ფრიალებს, გარშემო კი დგანან მისი გუშინდელი მასპინძელი და სოფლის გლეხები. ყველას თოფები უჭირავს, ყველას მხიარული სახე აქვს, ყველას მაღლა აქვს თავი აწეული.

მაშინ სტეპკომაც აიწია გასისხლიანებული ხელი, მხოლოდ არ იცოდა რა ეთქვა და გაიცინა.

აი რა ყოჩაღი იყო სტეპკო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰატეფონი

ნოე დაფნარელი

კვირა დილით ჩვენმა კარგმა,
საყვარელმა, ძვირფას მამამ
ქალაქიდან პაწაწინა
ჩემოდანი მოიტანა;

გოგო-ბიჭებს გვიტაცებდა
მისი შნო და სილამაზე,
და გვეგონა ფოჩა-ფოჩა
კამფეტებით იყო სავსე.

და მოთმენა არა გვქონდა,
მამას ირგვლივ ვეხვეოდით,
ჩემოდნიდან კამფეტების
ამოცვენას მოველოდით.

აი მამამ, როგორც იყო,
გაგვახარა... მოიცალა...
გააღო... და ვნახეთ რაღაც
უცნაური და ბრჭყვიალა;

მიაბრუნა, მოაბრუნა,
უტრიალა, ატრიალა,
ააწყო — და აწიწკინდა,
თავისთავად დატრიალდა.

და გაისმა ნაზი, ტკბილი,
ხან მაღალი, ხანაც ნელი,
სიმღერა და მოძახილი,
საუცხოვო, მიმზიდველი;

„რის კამფეტი! რა კამფეტი!
რა ყოფილა, ბიჭო, ეს რა!“

აღტაცებით, სიხარულით
თითქოს ფრთები გამოგვესხა.

მამა გვიხსნის ყველაფერსა,
როგორ უნდა... სად რა უნდა,
ეს ფირფიტა თითქოს კივის,
ეს ზარივით აწკარუნდა...

„წინათ ვიყავ, — ამბობს მამა,
მენახირე... დაჩაგრული,
ახლა სტახანოველი ვარ
და საქმე მაქვს გაჩარხული;

სამას ოცი შრომადღე მაქვს,
ცხოვრება მაქვს ბედნიერი,
თქვენც, ბავშვებო, უნდა გახდეთ
ნასწავლი და მეცნიერი.

ეს ცხოვრება მოგვანიჭა
საყვარელმა სტალინ—ძიამ,
მის დროშის ქვეშ ვშრომობთ,
ვიბრძვით,

ვქმნით ცხოვრებას ხალისიანს!
თქვენც, შვილებო, — გვითხრა
მამამ, —
კოტე, ლეო, მარო, ქეთო,

ჩვენ „ფრიადზე“ თუ ვმუშაობთ,
თქვენც „ფრიადზე“ ისწავლეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ცხოველია?

ალ. საჩინოელი.

(გამოცანა)

ვეფხვის მონათესავეა,
ტანმოქნილი, პატარა,
თვალმჭრელი და ყურმახვილი,
კუდგრძელა, მეტიჩარა.

გაბზეკილი ულვაშები
ძველ დიამბეგს მიუგავს;
სისუფთავით ნაქებია,
ილამაზებს მუდამ თავს.

სიმარდით და მოხერხებით
სწორედ გასაკვირია!

ხეზე თავისუფლად ადის,
როდესაც მას სჭირია.

კბილები და კლანჭები აქვს
ბასრი ისე, ვით ხმალი,
თუ საკბილოს თვალი მოჰკრა, —
ვაი იმისი ბრალი.

დიდი უპურმარილოა
და თანაც ქურდაბაცაა.
ამისთანა ეშმაკუნა
მეცა მყავსა და სხვასაცა.

ჟურნალ „ოქტომბრელის“ 1936 წლის შინაარსი

1. **აბაშიძე ირაკლი:** ა) გემის ნახვა (ლექსი) № 1, ბ) ანკეტის შევსება (ლექსი) № 3, გ) წერილი ბაბუასადმი (ლექსი) № 5 დ) მაქსიმ გორკი (წერილი) № 6, დ) ანოს ანბანი (ლექსი) № 12.
2. **ასტვაცატუროვი ერემია:** ა) პუშკინის ცხოვრება (წერილი) № 11.
3. **ახვლედიანი დარია:** ა) ზამთარი (ლექსი) № 2
4. **აფაქიძე ან:** ა) პატარა მუსიკოსი (თარგ. გერმანულიდან) № 3.
5. **ადამია მერი:** ა) პატარა გოგონა დიდ ბელადთან (ნარკვევი) № 4.
6. **არსია გრიგოლ:** ა) ბავშვების სიმღერა (ლექსი) № 4.
7. **ახნაზაროვი არტემ:** ა) ლიმონა (მოთხრობა) № 7 და 8-9.
8. **აბრამიშვილი ელისო:** ა) გაუთავებელი ამბავი (გადმოკ. ფრანგ.) № 2.
9. **ბუხაიძე ვანო:** ა) სიხარულის თეატრი (წერილი) № 6.
10. **გრიშაშვილი იოსებ:** ა) მუსტაფას ვირი (ლექსი) № 5, ბ) ლაზღანდარა (ლექსი) № 7, და გ) დედის დარიგება (ლექსი) № 11.
11. **გაბაშვილი ეკატერინე:** ა) ძველი ამბავი (მოთხრობა) № 1, 2 და 3.
12. **გომართელი ივანე:** ა) საუბარი ოქტომბრელთან (მოთხ.) № 1 და 2.
13. **გეგეჭკორი ლადო:** ა) ბონდოს სიხარული (მოთხ.) № 4, ბ) მოგონება. ირ. ევდოშვილზე № 5.
14. **გაფრინდაშვილი შოთა:** ა) გაზაფხული (ლექსი) № 4.
15. **გოგუაძე გაბრიელ:** ა) გაძევებული ჭოტი (მოთხ.) № 6 და № 7.
16. **გოგუაძე ნ:** ა) ზღვის ფსკერზე (ნარკვევი) № 7, ბ) უდაბნოში (ნარკ.) № 8-9.
17. **გოგოლაშვილი ლენა:** ა) საშეფო სოფელი (მოთხ.) № 1.
18. **გოგოლაშვილი ნუნუ:** ა) სად ვიყავი? (ლექსი) № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. **დევდარიანი კლავდია:** ა) მეფის წყალობა (მოთხ.) № 1, ბ) პატარა მეგობარი (მოთხრობა) № 2, გ) პატარა პარაშუტისტი (მოთხ.) № 8-9 და დ) სისხლი (მოთხრობა № 11.

20. **დაფნარელი ნოე:** ა) სწავლას ვიწყებთ (ლექსი) № 8-9 და პატეფონი (ლექსი) № 12.

21. **ეული სანდრო:** ა) ნორჩ თაობას (ლექსი) № 3.

22. **ევდოშვილი იროდიონ:** ა) უცნაური ვანო (მოთ.) № 4, ბ) სტუმრობა (მოთ.) № 3.

23. **თაბუკაშვილი შალვა:** ა) ვინ იყო ის? (მოთხ.) № 1, ბ) ციებ-ცხელება შეჭამა თევზმა (წერილი) № 2, გ) თევზის-ბურთი და შეიძლება თუ არა ჯინჭრიდან ტანისამოსის შეკერვა № 3, დ) ხელით დაჭერილი არწივი № 5, ე) გამოცანა № 7, ვ) ელისოს შეცდომა (მოთხ.) № 8-9 ზ) დაუვიწყარი დღე (მოთხ.) № 12, თ) რომელმა მწერმა ასწავლა ადამიანს ხისგან ქაღალდის გაკეთება (ნარკვევი) № 4 და ი) შარიკის ოინი (მოთხ.) № 11.

24. **თევზაძე კლიმენტი:** ა) ჯორჯ სტეფენსონი და პირველი რკინიგზა, ბ) აკროსტიხი № 1, გ) ლომი და კურდღელი (იგავი) № 2, დ) რებუსი № 4. ე) ციფრებზე № 5, ვ) მონადირე და კაკაბი (არაკი) და რებუსი № 6 და ზ) ჟულ ვერნი (წერილი) № 10.

25. **თორელი თომაზ:** ა) ვეშაპი (ნარკვევი) № 4.

26. **თორდუა ვლადიმერ:** „ნორჩი ლენინელი" 5 წლისაა (წერილი) № 6.

27. **იაშვილი პავლე:** ა) მედას ლეკვი (ლექსი) № 1.

28. **იასამანი:** ა) თინას დღე (ლექსი) № 3.

29. **კაჭახიძე გიორგი:** ა) ფრიადოსანი ცირა (ლექსი) № 1, ბ) ბელურა (ლექსი) № 2, გ) მჭლე დიდყურა (ლექსი) № 4, დ) გართობა ქალაქგარეთ (ლექსი) № 5, ვ) ევდოშვილი ბავშვებთან (ლექსი) № 6, ვ) ჩვენი ქუჩა (ლექსი) 10, ზ) მოსკოვი (ლექსი) № 11 და თ) არც მე დამივიწყებს (ლექსი) № 12,

30. **კლდიაშვილი სერგო:** ა) სიზმარი (ზღაპარი) № 2.

31. **კალანდაძე გიორგი:** ა) მფრინავი თევზები და ალბატროსი (ნარკვევი) № 4, ბ) პატარა ოსტატები (მოთხ.) № 7, გ) სიასამური და მისი სამშობლო (ნარკვევი) № 10 და დ) გივის წერილი ესპანელ ბავშვებს (ლექსი) № 11.

32. **კოჩლავაშვილი ალექსანდრე:** ა) მოლაპარაკე ლითონის ადამიანი (წერილი) № 6.

33. **კაშმაძე ავთანდილ:** ა) მდინარეში (ლექსი) № 8-9 და ბ) მეტეორიტი (ნარკვევი) № 4.

34. **ლორთქიფანიძე ნიკო:** ა) ავთანდილ ბრძენი (ზღაპარი) № 3 და ბ) მეგობრები (ზღაპარი) № 7.

35. **ლომთათიძე გიორგი:** ა) სიცრუის ანხვერპლი (იგავი) № 3, ბ) ესოსოს აძბავი (ლექსი) № 11. ფერი პასუხი (იგავი) № 4, გ) მდიდარი და მათხოვარი № 7 და დ) აკაზაკების ხვედრი (იგავი) № 11.

36. **ლობჟანიძე ეფრასიონ:** ა) გაზაფხული (ლექსი) № 5.

37. **მიჩქრალი:** ა) ჩემი ბურთი (ლექსი) № 6, და ბ) გულ. და ფის. ამბ. № 11.

38. **მიქელაძე მარიკა:** ა) ლენინი და სიმართლე (ზღაპ) № 1 და ბ) კიროვს (ლექსი) № 12.

39. **მღვიმელი ქეთო:** ა) ზამთარი (ლექსი) № 1.

40. **მრევლიშვილი მაყვალა:** ა) სამაისო (მოთხრობა) № 5.

41. **მეტრეველი ლევან:** ა) იყო და არა იყო რა, № 7.

42. **მაჭავარიანი ივანე:** ა) ამოცანა—№ 7 და ბ) ირმა და ქუცნა (მოთხრობა) № 8-9 და № 10.

43. **მარიჯან:** ა) ქოჩორა (ლექსი) № 10.

44. **მარიანიშვილი შალვა:** ა) რა შეემთხვა მონადირეს აფრიკის ტყეში (ნარკვევი) № 10 და № 11.

45. **ნიკოლაიშვილი იასონ:** ა) უპკუო ცოლ-ქმარი № 5 და ბ) ვირთაგვები და ფისო — № 6.

46. **ნაკაშიძე ნინო:** ა) რატომ არის მერცხალი კუდმაკრატელა, ხოჭო უენო და რატომ ემალება გველი კაცს (ზღაპ) № 8-9.

47. **ონელი არნო:** ა) უბედური მელია (ლექსი) № 2 და ბ) რა კარგია შემოდგომა (ლექსი) № 10.

48. **ოქროშიძე თამარ:** ა) ბოტანიკურ ბაღში (მოთხრობა) № 7 და № 8-9

49. **ულენტი სანდრო:** ა) ზამთარი (ლექსი) № 2, ბ) გუგული (ლექსი) № 5, გ) წერილი არეხლუელ გამიდას (ლექსი) № 7, დ) სამასი ფრიადოსანი უძოში (ნარკვევი) № 8-9 და ე) გურა წითელარ მიელებთან (ლექსი) № 10.

50. **ურ-ვერნი:** ა) თევზ-ჩაქუჩა (მოთხრობა) № 10.

51. **პუშკინი ალექსანდრე:** ა) საქართველოს მთებს (ლექსი) № 11.

52. **საჩინოელი ალექსანდრე:** ა) რა ფრინველია (გამოცანა) № 1, ბ) რა ცხოველია? (გამოცანა) № 5, გ) რა მწერია № 7, დ) რა მხეცია № 8-9.

53. **სიხარულიძე ილია:** ა) მზია, ბუზი და წიწილა (ლექსი) № 6 და ბ) ოტომბრელების სიმღერა (ლექსი) № 7.

54. **სულავა ალექსანდრე:** ა) ეროდიონ ევდოშვილი (წერილი) № 6, ბ) გმირული წარსული ნახატებში (წერილი) № 10 და გ) დიდი ბელადის თანამებრძოლი (წერილი) № 12.

55. **სიხარულიძე ქსენია:** ა) მოკლე შარვალი (მოთხრობა) № 11.

56. **ტოლსტოი ლევ:** ა) გლეხი და კიტრები, ბ) ბულკა — № 1.

57. **ტყეშელაშვილი ნინო:** ა) მაშკა (მოთ.) № 2, ბ) ამხანაგები (მოთხ.) № 7.

58. **უბილავა ვლადიმერ:** ა) დილის სიმღერა (ლექსი) № 4.

59. **ფაშალიშვილი სიკო:** ა) ნაძვის ხე ჩვენს სკოლაში (ლექსი) № 1.

60. **ფარცხნალელი შ.:** ა) მკვდარი ლაპარაკობს (ნარ ვევი) № 1.

61. **ქორქია როდიონ:** ა) მარილის აკვანში (მოთხრობა) № 3 და ბ) აუეთ ქება (მოთხრობა) № 12

62. **ქ-ლი ნინო:** ა) იცი თუ არა? № 1.

63. **ქუჩიშვილი გიორგი:** ა) ნოდარი, ციალა და ცუგა (ლექსი) № 2, ბ) ასახელა მთელი სკოლა (ლექსი) № 4, და გ) ტყე (მოთხ.) № 12.

64. **ქვარიანი სიმონ:** ა) კეთილი ჯეკა (მოთხ.) № 4, და ბ) თუნთია (მოთხ.) № 8-9.

65. **შავერზაშვილი სანდრო:** ა) ხარბი კატა (იგავი) № 1, ბ) ვანოს ნატვრა (ლექსი) № 3 და გ) ქარხანაში (ლექსი) № 7.

66. **შამათავა დავით:** ბუნგლიას ერთგულება (მოთ.) № 3 და ბ) განაჩენი (მოთხ.) № 4.

67. **შანვერზაშვილი თამარ:** მარში (მუსიკა) № 10 და გ) პირველი მაისი (მუსიკა) № 5.

68. **ჩხეიძე ბორის:** ა) მონადირე მელია (მოთხრობა) № 3, ბ) მგალობელი შაშვის საჩივარი (მოთხ.) № 5 და გ) ადამიანი, ირემი და მგელი (მოთხ) № 10.

69. **ჩადუნელი ლეო:** ა) სიცოცხლე და სიხარული (ნარკ.) № 4.

70. **ციცაძე ზაზა:** ა) წიფლის ხის ნაამბობი — № 4.

71. **წეველი სიმონ:** ა) რწყილი და ჭიანჭველა (პოემა) № 8-9.

72. **ჭიჭინაძე ლავრენტი:** ა) ძამალი (მოთხ.) № 1, ბ) გომურის დასასრული (ძოთხ). № 2, გ) ორი მეთევზე (მოთხ.) № 4, დ) სამუდამოდ დასამარდნენ (ნარკვევი) № 8-9, ე) გაქცეულა (მოთხ.) № 11.

73. **ჭანიშვილი ვ:** ა) პატარა პლანერისტები — № 5.

74. **ჯაფარიძე ალიოშა:** ა) სურათი (ლექსი) № 11.